პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის

პირველადი სტრუქტურული ერთეულის -

შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში
მიმდინარე მოწვევის პერიოდში
(2021 წლის დეკემბერი - 2023 წლის ნოემბერი)

გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის №160 განკარგულების საფუძველზე:

მუხლი 1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი - 2023 ნოემბერი) გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის
სამსახურის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში 2021 წლის დეკემბერი -2023 წლის
ნოემბერი, გაწეული მუშაობის შესახებ
წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი
დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2023 წლის 29 ნოემბრის

№- განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის

პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის

ანგარიში მიმდინარე მოწვევის (2021 წლის დეკემბერი - 2023 წლის ნოემბერი) გაწეული მუშაობის შესახებ

შესავალი

შიდა აუდიტი არის **დამოუკიდებელი, ობიექტური მტკიცებულებითი** და **საკონსულტაციო** საქმიანობა, რომელიც ქმნის დამატებით ღირებულებას და აუმჯობესებს დაწესებულების ფუნქციონირებას. იგი დაწესებულებას ეხმარება მიზნების მიღწევაში, რისკის მენეჯმენტის, კონტროლისა და მართვის ავტონომიური პროცესების შეფასებასა და გაუმჯობესებაში სისტემური, ორგანიზებული მიდგომის გამოყენებით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - შიდა აუდიტის სამსახური ჩამოყალიბდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №91 განკარგულებით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - შიდა აუდიტის სამსახური (შემდგომ სამსახური) ახორციელებს დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისაკენ, მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისა და ამოცანების სრულყოფილად შესრულებისაკენ მიმართულ დამოუკიდებელ, ობიექტურ, მარწმუნებელ და საკონსულტაციო საქმიანობას, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინირებული და ორგანიზებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესების ეფექტიანობას.

შიდა აუდიტის სამსახური ქუთაისის მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის შესაბამისად შეიმუშავებს **სტრატეგიულ** და **წლიურ გეგმებს**, რომლის საფუძველზეც ხორციელდება

სამსახურის საქმიანობა. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომელთა განხორციელებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისათვის საშუალოვადიან პერსპექტივაში. სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას, სამსახური ითვალისწინებს ქალაქის წინაშე მდგარ გამოწვევებს, რაც მნიშვნელოვანია საქმიანობის დაგეგმვისათვის.

სამსახური შეიმუშავებს და გასცემს რეკომენდაციებს, ახორციელებს გაცემული რეკომენდაციების შესრულების უწყვეტ მონიტორინგს და შესაბამის ანგარიშგებას.

სამსახური თავისი საქმიანობის განხორციელებისას თანამშრომლობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის დეპარტამენტთან („ჰარმონიზაციის ცენტრი“), ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვა მუნიციპალიტეტების შიდა აუდიტის სუბიექტებთან, რომლის ფარგლებში მუდმივ რეჟიმში ხორციელდება გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის.

ზოგადი მიმოხილვა

2021 წლის დეკემბერში განხორციელდა სამსახურის საქმიანობის გარე შეფასება, რის შემდეგაც 2022 წლის იანვარში წარმოდგენილ იქნა ხარისხის გარე შეფასების ანგარიში. ანგარიშის თანახმად, სამსახურის საქმიანობა შეფასდა დადებითად და დამატებით გაიცა რეკომენდაციები თანამედროვე და საერთაშორისო პრაქტიკასთან მეტად დაახლოების მიზნით.

საანგარიშო წლის დასაწყისში სამსახურის წინაშე მდგარ ამოცანას წარმოადგენდა სამსახურის ახალი დებულების შემუშავება, ვინაიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადებული რეორგანიზაციის შედეგად, სამსახურში განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები, ასევე დებულება საჭიროებდა დახვეწას, გარე შეფასების ანგარიშში ასახული რეკომენდაციების თანახმად.

2022 წლის მაისამდე სამსახური შედგებოდა ორი განყოფილებისაგან: შიდა აუდიტის განყოფილება და სამსახურებრივი ინსპექტირების განყოფილება. სამსახურებივი ინსპექტირების განყოფილების სამსახურთან თავსებადობაზე გამოითქვა შენიშვნები გარე შეფასების ანგარიშში, რის შედეგადაც, საუკეთესო პრაქტიკასთან და შიდა აუდიტის საქმიანობის სტანდარტებთან დაახლოების

მიზნით, სამსახურის ინიციატივითა და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, რეორგანიზაციის შედეგად სამსახურს გაემიჯნა სამსახურებრივი ინსპექტირების განყოფილება, რომლის ფუნქციები სრულად ჩამოშორდა სამსახურს, ხოლო სუბიექტმა საქმიანობა განაგრძო შიდა აუდიტის მიმართულებით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შიდა ფინანსური კონტროლის დეპარტამენტის („ჰარმონიზაციის ცენტრი“) რეკომენდაციების გათვალისწინებით, სამსახურმა 2022 წელს შეიმუშავა ახალი დებულება, სადაც დეტალურად აისახა ხარისხის გარე შეფასების ანგარიშში მითითებული რეკომენდაციები.

2022 წლის გაზაფხულზე, შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის შესაბამისად, სამსახურის ხელმძღვანელის მიერ შემუშავდა 2019-2022 წლების სტრატეგიული გეგმის გადასინჯვის დოკუმენტი, რის შედეგადაც დაისახა პრიორიტეტული მიმართულებები საქმიანობის წარმართვისათვის, მათ შორის დაიგეგმა სამსახურის მოხელეთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები, გაიწერა ის მიმართულებები, რა კუთხითაც სამსახური საჭიროებდა განვითარებას.

2022 წელს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის („ჰარმონიზაციის ცენტრი“) მიერ, **ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს** („USAID“) პროგრამის **„დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა“ („GGI“)** მხარდაჭერითა და მოწვეული ექსპერტის ჩართულობით შემუშავებულ იქნა **ეფექტიანობის აუდიტის სახელმძღვანელო - „საქართველოს საჯარო სექტორის შიდა აუდიტორებისთვის“** რომელიც მოწოდებულ იქნა მუნიციპალიტეტების აუდიტის სუბიექტებისათვის.

სამსახურის თანამშრომელთა მიერ აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობდა აღნიშნული სახელმძღვანელოს გაცნობა და სწორი მიმართულებების დასახვა მისი პრაქტიკაში განხორციელებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამსახურის თანამშრომლებმა 2022 წლის ივლისის თვეში გაიარეს **სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“** მიერ ორგანიზებული ტრენინგი **„ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება.“** აღნიშნულ ტრენინგზე მიღებული ცოდნა/გამოცდილების გაზიარებამ კიდევ უფრო განამტკიცა სამსახურის მზაობა მისი არსებობის მანძილზე პირველად ჩაეტარებინა არაკომბინირებული, მხოლოდ **ეფექტიანობის აუდიტი**, საუკეთესო პრაქტიკით დადგენილი წესებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, რაც განხორციელდა კიდეც და სამსახურმა ანგარიშზე მუშაობა დაასრულა 2022 წლის ოქტომბრის თვეში.

სამსახურის მიერ, 2022 წლის 18 ნოემბერს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში შემავალი სტრუქტურულ ერთეულებსა და დაფუძნებულ იურიდიულ პირებს, **რისკების იდენტიფიცირების მიზნით**, გაეგზავნათ **შიდა კონტროლის თვითშეფასების კითხვარები**, რომელთა უკუკავშირის შედეგად სამსახურის მიერ განხორციელდა შიდა კონტროლის სისტემების, კერძოდ, ფინანსური მართვისა და კონტროლის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი.

შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას გამოყენებულ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შიდა ფინანსური კონტროლის დეპარტამენტის („ჰარმონიზაციის ცენტრი“) რეკომენდაციები, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული **რისკების შეფასების** მოდელი და **შიდა აუდიტის მეთოდოლოგია.** ქუთაისის მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის, შიდა კონტროლის თვითშეფასების კითხვარებისა და რისკების შეფასების ანალიზის საფუძველზე დაისახა სამსახურის საქმიანობის სტრატეგია მომავალი სამი წლისათვის და სამსახურის ხელმძღვანელის მიერ შემუშავდა შიდა აუდიტის სამსახურის 2023-2025 წლების სტრატეგიული გეგმა, რომელიც დამტკიცდა მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 29 ნოემბრის №44. 442233315 ბრძანებით.

სამსახურის მიერ შიდა აუდიტორული საქმიანობის ეფექტიანობის გაძლიერებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების სრულფასოვანი მონიტორინგისათვის 2023 წლის 7 ივლისს საკრებულოს დადგენილებით ცვლილება შევიდა „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის №25 დადგენილებაში, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა **შიდა აუდიტისა** და **რეკომენდაციების მონიტორინგის** განყოფილებები. ზემოაღნიშნულმა სტრუქტურულმა ცვლილებამ სამსახურს საშუალება მისცა მეტად დაახლოვებოდა საუკეთესო პრაქტიკას და სრულყოფილად განეხორციელებინა გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში გაზრდილია **საკონსულტაციო მომსახურების როლი**, რომლის მოთხოვნა გარდა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირებისა, ხორციელდება სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ. სამსახურის მიერ საკონსულტაციო მომსახურების გაწევა ხდება საოპერაციო

საქმიანობაში ჩარევისა და მენეჯერული პასუხისმგებლობების აღების გარეშე და შემოიფარგლება კონკრეტული საკითხების თაობაზე რჩევის მიცემითა და ფასილიტაციით.

განხორციელებული სამუშაო

შიდა აუდიტის სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით, სამსახურის ხელმძღვანელის მიერ შემუშავდა და მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცდა შიდა აუდიტის 2021, 2022 და 2023 წლების წლიური გეგმები.

აუდიტორული შემოწმებები:

2021 წლის განმავლობაში დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი ობიექტების შიდა აუდიტორული შემოწმებების განხორციელება:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის **ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური** - სისტემური და შესაბამისობის აუდიტორული შემოწმება.
2. **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისი“** - სისტემური, ეფექტიანობის, ფინანსური და შესაბამისობის აუდიტორული შემოწმება.
3. **არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება"** - სისტემური, ფინანსური და შესაბამისობის აუდიტორული შემოწმება.

2022 წლის განმავლობაში სამსახურის მიერ განხორციელდა 2 გეგმიური და 1 არაგეგმიური შიდა აუდიტორული შემოწმება, ესენია:

1. **არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება“** - გეგმიური სისტემური, ეფექტიანობის, ფინანსური და შესაბამისობის შიდა აუდიტორული შემოწმება.
2. **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „გარე განათება (02 03)“ ქვეპროგრამის „გარე განათებისა და შუქნიშნების ქსელის ექსპლოატაციის“** (02 03 01) არაგეგმიური **ეფექტიანობის** შიდა აუდიტორული შემოწმება.
3. **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული, სოციალურ საკითხთა სამსახურის** - გეგმიური, სისტემური და შესაბამისობის შიდა აუდიტორული შემოწმება.

2023 წლის ნოემბრის თვის მდგომარეობით დასრულებულია 3 გეგმიური აუდიტორული შემოწმება:

1. **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის“** გეგმიური, სისტემური, ფინანსური და შესაბამისობის შიდა აუდიტორული შემოწმება.
2. **არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებო დაწესებულებათა გაერთიანების“** სისტემური, ფინანსური და შესაბამისობის შიდა აუდიტორული შემოწმება.
3. **არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი „ფოლკლორის ცენტრი - ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის“** შიდა სისტემური, ფინანსური, ეფექტიანობის და შესაბამისობის შიდა აუდიტორული შემოწმება.

გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგი

2023 წლის 7 ივლისს განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, შიდა აუდიტის სამსახურში ჩამოყალიბდა **რეკომენდაციების მონიტორინგის** განყოფილება, რამაც სამსახურს მონიტორინგის პროცესის უფრო ეფექტური დაგეგმვისა და განხორციელების საშუალება მისცა.

რეკომენდაციების მონიტორინგის განყოფილების მიერ, სტრუქტურული ფორმირების დასრულებისთანავე, მიმდინარე ანგარიშის წარდგენის პერიოდისათვის უკვე განხორციელდა შესაბამისი მოქმედებები რეკომენდაციების შესრულების ან/და შეუსრულებლობის მდგომარეობის შესახებ რწმუნების მისაღებად:

1. აუდიტის ობიექტებისაგან გამოთხოვილ იქნა წერილობითი ინფორმაცია რეკომენდაციების შესრულების სტატუსებთან დაკავშირებით, შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
2. განხორციელდა ვიზიტები აუდიტის ობიექტების ადმინისტრაციულ შენობებში;
3. რეკომენდაციის შესრულების რწმუნების მიღების მიზნით, მონიტორინგის ჯგუფის მიერ პერიოდულად ხდება შესაბამისი ელექტრონული ბაზების გადამოწმება შერჩევითი მეთოდით;
4. ჩატარდა ინტერვიუები ობიექტების ხელმძღვანელებთან;

5. სამუშაო შეხვედრებზე შეფასდა წარმოდგენილი მტკიცებულებები, დაგეგმილი აქტივობების ეფექტიანობა და განხილულ იქნა მოსალოდნელი შედეგები, რის შედეგადაც დაიგეგმა მომავალი ღონისძიებები რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნული საქმიანობით მიღწეული შედეგები, არსებული მდგომარეობა, დაგეგმილი აქტივობები აისახა რეკომენდაციების მონიტორინგის ანგარიშში.

2021 წლის განმავლობაში განხორციელებული აუდიტორული შემოწმებების შედეგად გაცემულია 30 რეკომენდაცია, მათგან შესრულებულია 28 ხოლო ნაწილობრივ შესრულებული 2.

2022 წლის განმავლობაში განხორციელებული აუდიტორული შემოწმებების შედეგად გაცემულია 35 რეკომენდაცია, მათგან შესრულებულია 19, ნაწილობრივ შესრულებული/მიმდინარე 13, სამსახურის მიერ არააქტუალურად მიჩნეულ იქნა 3 რეკომენდაცია.

სამსახურის მიერ ხორციელდება მიმდინარე წელს გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგი, რისი შედეგებიც ასახული იქნება შესაბამის რეკომენდაციების მონიტორინგის ანგარიშში.

შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით განხორციელებული სამუშაო

შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტები („IPPF“) მოითხოვს, რომ აუდიტის ხელმძღვანელმა უნდა შეიმუშაოს და შეინარჩუნოს **ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამა**, რაც მოიცავს შიდა აუდიტის საქმიანობის ყველა სახეს. ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამა იქმნება შიდა აუდიტის საქმიანობის სტანდარტებთან შესაბამისობის შესაფასებლად და ასევე იმის დასადგენად, იცავენ თუ არა შიდა აუდიტორები პროფესიული ეთიკის კოდექსს.

„შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის №1014 განკარგულების მე-19 მუხლის თანახმად შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსმა **უნდა შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის**

პროგრამა, რომელიც შიდა აუდიტის ფუნქციის ყველა ასპექტს მოიცავს და **უზრუნველყოფს აუდიტის ხარისხიანად და ეფექტურად ჩატარებას**.

2023 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, მემორანდუმის საფუძველზე აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს („USAID“) მხარდაჭერით, დამოუკიდებელი ექსპერტის ჩართულობითა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, სამსახურის ხელმძღვანელის მიერ შემუშავდა **შიდა აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამა**, რომელიც მიზნად ისახავს შემუშავდეს აუდიტის ხარისხის შეფასების ისეთი სტრატეგია, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს უზრუნველყოფს დასაბუთებული რწმუნებით იმის შესახებ, რომ შიდა აუდიტორული საქმიანობა ხორციელდება სამსახურის **დებულებითა და სხვა შესაბამისი რეგულაციებით განსაზღვრული ნორმების შესაბამისად**, რომლებიც თავის მხრივ, შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ შიდა აუდიტის საქმიანობის მარეგულირებელ აქტებთან, შიდა აუდიტის ეთიკის კოდექსთან და შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან, **ეფექტურად** და **პროდუქტიულად,** რათა უზრუნველყოფილ იქნეს შიდა აუდიტის მიზნების მიღწევა.

2023 წლის ნოემბერში, სამსახურის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცდა **„შიდა აუდიტის საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამა“** შესაბამისი დანართებით. შიდა აუდიტორული საქმიანობის ეფექტიანობის **გასაზომად, შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩამოყალიბებულია საქმიანობის ეფექტიანობის ინდიკატორები,** აღნიშნული ინდიკატორების შესრულების შეფასება ხდება აუდიტორული საქმიანობის განხორციელების თითოეულ ეტაპზე (დაგეგმვა, განხორციელება, ანგარიშგება, მონიტორინგი).

შიდა აუდიტის ხარისხი განისაზღვრება იმით, თუ რამდენად აკმაყოფილებს აუდიტის სუბიექტი მის მიმართ არსებულ მოლოდინებს და რამდენად შესაბამისობაშია მისი საქმიანობა მოქმედ სტანდარტებთან. სამსახურის მიზანია უწყების საქმიანობის გაუმჯობესების ხელშეწყობა და მისთვის დამატებითი ღირებულების მოტანა. შესაბამისად, შიდა აუდიტორული საქმიანობის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, ძალზედ მნიშვნელოვანია განხორციელდეს მისი პერიოდული შეფასება.

შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის თანახმად, **სამუშაო დოკუმენტების შექმნისა და მომზადებისათვის საჭიროა ადეკვატური დაგეგმვა,** შესაბამისად, დოკუმენტბრუნვის მოწესრიგების, დოკუმენტების შედგენის, გაფორმებისა და არქივიზაციის ხარისხის ამაღლებისა და შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების

მიზნით 2023 წლის ნოემბერში სამსახურის ხელმძღვანელის მიერ შემუშავდა **„შიდა აუდიტის სამსახურის საქმისწარმოების ერთიანი წესები“**, რომელიც განსაზღვრავს შიდა აუდიტის სამსახურში ელექტრონული და მატერიალური საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებზე, შიდა აუდიტორულ ანგარიშსა და გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგზე მუშაობის წესს და სავალდებულოა შესასრულებლად შიდა აუდიტის სამსახურის ყველა სტრუქტურული ერთეულისათვის, რაც შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის თანახმად, **აუცილებელია პროფესიული დონის აუდიტის ჩატარებისათვის**.

შიდა აუდიტორთა პროფესიული განვითარება

სამსახურის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სემინარებში, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მათ პროფესიულ განვითარებას. საანგარიშო პერიოდში საჯარო მოსამსახურეებმა მონაწილეობა მიიღეს:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის დეპარტამენტის („ჰარმონიზაციის ცენტრი“) მიერ ორგანიზებული შემდეგი სწავლება-ტრენინგები:

„თაღლითობა, კორუფციის პრევენცია და ეთიკა საჯარო სექტორში“

ონლაინ ვებინარი თემაზე - **„რისკის მართვის აუდიტი“**;

საერთაშორისო თემატური ვებინარი **,,შიდა აუდიტის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა;“**

„ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამა შიდა აუდიტის სუბიექტებში“.

სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს **სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“** მიერ ორგანიზებულ შემდეგ ტრენინგ-კურსებში:

„მართვის თანამედროვე პრაქტიკები“ ;

„მოხელის მენეჯერული უნარები“;

„ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება“ ;

„საგადასახადო და აუდიტორული პროცესების მართვა“;

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ ორგანიზებულ სასერთიფიკაციო გამოცდებში - „ACCA P2 - **ფინანსური მართვა**“„ACCA P4 - **უმაღლესი ფინანსური მართვა**“;

ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის („PGG II“) პროექტში „კორუფციის, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის სისტემების გაუმჯობესება საქართველოში“ საინფორმაციო შეხვედრა „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა“.

„ღია საზოგადოების ფონდის“ მიერ ორგანიზებული ელექტრონული ტრენინგ-კურსი „ძირითადი საკითხები თანასწორობის უფლების შესახებ“.

მუნიციპალური ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, მიმდინარე წელს განხორციელდა სამუშაო პრაქტიკის გაზიარება ბაღდათის, ვანის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლებთან. ქუთაისის შიდა აუდიტის გუნდმა უმასპინძლა აღნიშნული მუნიციპალიტეტების აუდიტის თანამშრომლებს, მოხდა პრაქტიკული მაგალითების განხილვა და სამუშაო ფაილების გაზიარება. აღნიშნულ შეხვედრაზე გამოიხატა შემდგომი ურთიერთთანამრომლობისა და მხარდაჭერის მზაობა.

2022 წლის 9-10 თებერვალს, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის („ჰარმონიზაციის ცენტრის“) ორგანიზებითა და „USAID/GGI“-ის მხარდაჭერით გაიმართა **„შიდა აუდიტორთა რეგიონალური შეხვედრა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში“,** სადაც მიწვეულ იქნენ ქალაქ ქუთაისის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი და მოადგილე. აღნიშნულ ფორუმზე, რომელიც ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, განხორციელდა საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება შიდა აუდიტის საქმიანობის წარმართვისათვის ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, „USAID“-ისა და „GGI“-ს მოწვეული ექსპერტების მიერ. ასევე განხილულ იქნა ქალაქ ბათუმის აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ, აჭარის რეგიონალურ **ფორუმზე წარდგენილ იქნა პრეზენტაცია ხარისხის გარე შეფასების შესახებ,** სადაც ფორუმის მონაწილეებს გაეცნო ინფორმაცია შეფასების შედეგების იმპლემენტაციის შესახებ სამსახურის დებულებებში და სხვა სამოქმედო დოკუმენტაციაში.

2022 წლის 3 ივნისს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის („ჰარმონიზაციის ცენტრის“) ორგანიზებით, ქალაქ წყალტუბოში გაიმართა **„იმერეთის რეგიონის შიდა აუდიტორთა ფორუმი“** სადაც

რეგიონის შიდა აუდიტორებთან ერთად მიწვეულ იქნენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი და მოადგილე. შეხვედრა მიზნად ისახავდა შიდა აუდიტორული საქმიანობის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებასა და თანამედროვე მიდგომების შესახებ ინფორმაციის გაცვლას ინტერაქტიულ რეჟიმში. შეხვედრაზე მოხსენება გააკეთა სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილემ და წარმომადგენელმა, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების პროექტის „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“ (GIZ) საჯარო ფინანსების ექსპერტმა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა. ასევე განხორციელდა ქალაქ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის პილოტური აუდიტის პრაქტიკის გაზიარება, მიღებული ცოდნა და მასალები გაზიარებულ იქნა სამსახურის თანამშრომლებს შორის.

მიმდინარე წლის 30-31 მარტს სამსახურმა ჩაატარა სამუშაო შეხვედრა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ახალ თანამშრომლებთან თემაზე **„ეთიკა და ქცევის ზოგადი წესები საჯარო სამსახურში“** საქართველოს კანონმდებლობისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა სამართლებრივი აქტების საფუძველზე. სამსახურის თანამშრომლების მიერ, შეხვედრაზე განხილულ იქნა ეთიკისა და ქცევის ზოგად წესებთან დაკავშირებული დისციპლინური წარმოებების პრაქტიკული მაგალითები.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს“ შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, 2023 წლის 17 მაისს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა **ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო მართვის ფაკულტეტის** სტუდენტებთან ჩაატარა **პროფესიული პრაქტიკის გაზიარების** სამუშაო შეხვედრა, სადაც სამსახურის თანამშრომლებმა სტუდენტებს გააცნეს სამსახურის ისტორია, სამსახურის ფუნქციები, შიდა აუდიტორული შემოწმების სახეები, სტრუქტურა, მიზანი, შიდა აუდიტის მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობის არსი. სამუშაო შეხვედრაზე გაზიარებულ იქნა პრაქტიკული მაგალითები, გაიმართა მსჯელობა შიდა აუდიტის გამოწვევებზე, რის შედეგადაც შეხვედრა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს („USAID“) ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის მთავარ კონტრაქტორს „Tetra Tech ARD-სა“ და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს შორის 2023 წლის 3 მაისს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი №005-ით დაგეგმილია 2023-2025 წლებში შიდა აუდიტორების კვალიფიკაციის ამაღლება შიდა აუდიტის სტანდარტებში, რაც გულისხმობს თანამშრომელთა ძირითადი ნაწილის სერტიფიცირებას საჯარო აუდიტის პროგრამის შესაბამისად.

2023 წლის 13 ნოემბერს, ზემოაღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში დაწყებულია შიდა აუდიტორთა სერტიფიცირების პროგრამა, სადაც ჩართულია ქალაქ ქუთაისის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი და მოადგილე, რომლებიც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს **საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში“** გაივლიან შესაბამის სასერტიფიკატო კურსს საჯარო სექტორის შიდა აუდიტორებისათვის. აღნიშნული კურსი მოიცავს 4 მოდულს, რომელთა განხორციელების ეტაპები გაწერილია მომდევნო 8 თვის განმავლობაში. სასწავლო კურსის დასრულების შემდგომ, მუნიციპალიტეტს პირველად ეყოლება სერტიფიცირებული აუდიტორები, აღნიშნული კიდევ უფრო გააუმჯობესებს საქმიანობის ხარისხს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საჯარო ფინანსების მეტად ეფექტიანი ხარჯვის უზრუნველყოფას.

სამსახურის თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის („ჰარმონიზაციის ცენტრი“) მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და ვებინარებში, ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“ მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში. სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებს პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მოძიებას მათში მონაწილეობის მისაღებად.

შიდა აუდიტის სამსახური აგრძელებს დებულებით, სტრატეგიული და წლიური გეგმებით დაკისრებული ფუნქციების შესრულებას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი
დავით ერემეიშვილი